საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

ბრძანება №01/ნ

2021 წლის 18 იანვარი

ქ. თბილისი

„ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 2018 წლის 5 ივლისის №3024-რს საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი და მე-8 პუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

მუხლი 1

„ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 18/05/2016, სარეგისტრაციო კოდი: 430210000.22.022.017112) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „ეროვნული სასწავლო გეგმის“:

1. 32-ე მუხლის:

ა) მე-3 პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1 პუნქტი:

,,3^1. ის მოსწავლეები (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები), რომლებიც პანდემიით შექმნილი ვითარების გამო, სემესტრის 1/3-ზე მეტი ხნით დისტანციური სწავლების პირობებში, სკოლის მიერ დაზუსტებული ობიექტური მიზეზებით, ნაწილობრივ ან საერთოდ ვერ ერთვებიან სასწავლო პროცესში (ფიზიკურად და/ან დისტანციურად) პირველი სემესტრის განმავლობაში, ფასდებიან მინიმუმ ერთი შემაჯამებელი კომპლექსური დავალების საფუძველზე. თუ მოსწავლეს დისტანციური სწავლების ფორმაზე გადასვლამდე მიღებული აქვს შეფასება, სემესტრული ქულა გამოითვლება ამ ქულის/ქულების და შემაჯამებელ კომპლექსურ დავალებაში მიღებული ქულის საშუალო არითმეტიკულით. სკოლამ უნდა უზრუნველყოს ინდივიდუალური საკონსულტაციო საათების დანიშვნა/ჩატარება საჭიროებისამებრ დისტანციურად ან ფიზიკურად (მათ შორის სკოლის ტერიტორიაზე), შესაბამისი წესების დაცვით. კომპლექსური დავალების წარდგენა და მოსწავლის შეფასება უნდა მოხდეს არაუგვიანეს მეორე სემესტრის პირველი კვირის ბოლომდე დისტანციურად ან ფიზიკურად. სასურველია, სკოლამ მსგავსი პრობლემების მქონე მოსწავლეებს მეორე სემესტრში ჩაუტაროს დამატებითი მეცადინეობები ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებზე გასვლის მიზნით.“;

ბ) მე-9 პუნქტს შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 9^1 პუნქტი:

,,9^1. იმ შემთხვევაში, თუ სემესტრის 1/3-ზე მეტი დისტანციური სწავლების ფორმით მიმდინარეობდა, სკოლას უფლება აქვს შეამციროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა, რაც უნდა აისახოს სასკოლო სასწავლო გეგმაში. ამ შემთხვევაში, შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა დაემთხვევა სემესტრის განმავლობაში ნასწავლი თემების რაოდენობას.“;

2. 36-ე მუხლის:

ა) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3. სემესტრული გამოცდის დანიშვნისთვის მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი

წერილობით მიმართავს სკოლის დირექტორს: პირველი სემესტრის შეფასების შემთხვევაში - მეორე სემესტრის დაწყებიდან ერთი კვირის ვადაში, ხოლო მეორე სემესტრის შემთხვევაში - სემესტრის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში. დირექტორი განიხილავს საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მოსწავლის სემესტრულ გამოცდაზე დაშვება-არდაშვების შესახებ. დაშვებაზე უარის შემთხვევაში, გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული.";

ბ) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,6. პირველი სემესტრის სემესტრული გამოცდა ინიშნება მეორე სემესტრის დაწყებიდან 2 კვირის ვადაში, ხოლო მეორე სემესტრის სემესტრული გამოცდა - სემესტრის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 კვირის ვადაში.";

3. 56-ე მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოაყლიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. საათობრივი ბადე ქართულენოვანი საჯარო სკოლების/სექტორების დაწყებითი საფეხურისთვის:

	კლასები და სემესტრები	**I კლასი**		**II კლასი**		**III კლასი**		**IV კლასი**		**V კლასი**		**VI კლასი**	
	საგანი	**I ს**	**II ს**	**I ს**	**II ს**	**I ს**	**II ს**	**I ს**	**II ს**	**I ს**	**II ს**	**I ს**	**II ს**
	სახელმწიფო ენა												
1	ქართული ენა და ლიტერატურა	7	7	7	7	6	6	6	6	5	5	5	5
	მათემატიკა												
2	მათემატიკა	4/5	4/5	5	5	5	5	5	5	5	5	4	4
	უცხოური ენები												
3	პირველი უცხოური ენა	0	1	2	2	3	3	3	3	3	3	3	3
4	მეორე უცხოური ენა									2	2	2	2
	საზოგადოებრივი მეცნიერებები												
5	მე და საზოგადოება					2	2	2	2				
6	ჩვენი საქართველო									2	2	3	3
	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები												
7	ბუნებისმეტყველება	2	2	2	2	2	2	2	2	3	3	3	3
	ტექნოლოგიები												
8	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები/კომპიუტერული ტექნოლოგიები	0/1	0/1	1	1	1	1	1	1	2	2	2	2
	ესთეტიკური აღზრდა												

9	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2
10	მუსიკა	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2
	ფიზიკური აღზრდა და სპორტი												
11	ფიზიკური აღზრდა	3	3	3	3	3	3	3	3	2	2	2	2
	სულ კვირეული საათობრივი დატვირთვა	**21**	**22**	**24**	**24**	**26**	**26**	**26**	**26**	**28**	**28**	**28**	**28**

შენიშვნა: II, III და IV კლასებში საგანი „კომპიუტერული ტექნოლოგიები“ 1-საათიანი კვირეული დატვირთვით სკოლებს შეუძლიათ დაიმატონ 2020-2021 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან, ხოლო 2021-2022 სასწავლო წლიდან საგანი ხდება სავალდებულო.“;

ბ) მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) დაწყებითი საფეხური

ქართ	არაქართ	საგანი	I კლასი	II კლასი	III კლასი	IV კლასი	V კლასი	VI კლასი
		სახელმწიფო ენა						
1		ქართული ენა და ლიტერატურა	224	245	210	210	175	175
	1	ქართული, როგორც მეორე ენა	160	175	175	175	175	175
		ეთნიკური უმცირესობების ენები						
	2	ეთნიკური უმცირესობების ენა	96-160	105-175	105-175	105-175	105-175	105-175
		მათემატიკა						
2	3	მათემატიკა	128-175	175	175	175	175	140
		უცხოური ენები						
3		პირველი უცხოური ენა	17	70	105	105	105	105
	4	პირველი უცხოური ენა არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორებისთვის	0-17	70	105	105	105	105
4		მეორე უცხოური ენა					70	70
	5	მეორე უცხოური ენა არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორებისთვის					0-70	0-70

		საზოგადოებრივი მეცნიერებები						
5	6	მე და საზოგადოება			70	70		
6	7	ჩვენი საქართველო					70	105
		საბუნებისმეტყველო მეცნიერებები						
7	8	ბუნებისმეტყველება	64	70	70	70	105	105
		ტექნოლოგიები						
8	9	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები/კომპიუტერული ტექნოლოგიები	0-32	32	32	32	70	70
		ესთეტიკური აღზრდა						
9	10	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	64	70	70	70	70	70
10	11	მუსიკა	64	70	70	70	70	70
		სპორტი						
11	12	ფიზიკური აღზრდა	96	137	137	137	70	70

„

გ) მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის „ა.ბ“, „ა.გ“ და „ა.დ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა.ბ) II კლასი

ქართ	**არაქართ**	**საგანი**	**საათების რაოდენობა კვირაში**		**შენიშვნა**
			I სემესტრი	**II სემესტრი**	
1		ქართული ენა და ლიტერატურა	**7**	**7**	
	1	ქართული, როგორც მეორე ენა	**5**	**5**	
	2	ეთნიკური უმცირესობების ენა	**3-5**	**3-5**	ეთნიკური უმცირესობების ენას ეთმობა მინიმუმ 3 და მაქსიმუმ 5 საათი.

2	3	მათემატიკა	5	5	
3	4	პირველი უცხოური ენა	2	2	
4	5	ბუნებისმეტყველება	2	2	
5		ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები/კომპიუტერული ტექნოლოგიები	1	1	
6	6	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	2	2	
7	7	მუსიკა	2	2	
8	8	ფიზიკური აღზრდა	3	3	
აუცილებელი საათების რაოდენობა კვირაში					
ქართულენოვანი სკოლებისათვის/ სექტორებისათვის			24	24	
არაქართულენოვანი სკოლებისათვის/ სექტორებისათვის			24-26	24-26	

ა.გ) III კლასი

ქართ	არაქართ	საგანი	საათების რაოდენობა კვირაში		შენიშვნა
			I სემესტრი	II სემესტრი	
1		ქართული ენა და ლიტერატურა	6	6	
	1	ქართული, როგორც მეორე ენა	5	5	
	2	ეთნიკური უმცირესობების ენა	3-5	3-5	ეთნიკური უმცირესობების ენას ეთმობა მინიმუმ 3 და მაქსიმუმ 5 საათი.
2	3	მათემატიკა	5	5	
3	4	პირველი უცხოური ენა	3	3	
4	5	მე და საზოგადოება	2	2	

5	6	ბუნებისმეტყველება	2	2	
6		ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები/კომპიუტერული ტექნოლოგიები	1	1	
7	7	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	2	2	
8	8	მუსიკა	2	2	
9	9	ფიზიკური აღზრდა	3	3	
აუცილებელი საათების რაოდენობა კვირაში					
ქართულენოვანი სკოლებისათვის/ სექტორებისათვის			26	26	
არაქართულენოვანი სკოლებისათვის/ სექტორებისათვის			27-29	27-29	

ა.დ) IV კლასი

ქართ.	არაქართ	საგანი	საათების რაოდენობა კვირაში		შენიშვნა
			I სემესტრი	II სემესტრი	
1		ქართული ენა და ლიტერატურა	6	6	
	1	ქართული, როგორც მეორე ენა	5	5	
	2	ეთნიკური უმცირესობების ენა	3-5	3-5	ეთნიკური უმცირესობების ენას ეთმობა მინიმუმ 3 და მაქსიმუმ 5 საათი.
2	3	მათემატიკა	5	5	
3	4	პირველი უცხოური ენა	3	3	
4	5	მე და საზოგადოება	2	2	

5	6	ბუნებისმეტყველება	2	2	
6		ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები/კომპიუტერული ტექნოლოგიები	1	1	
7	7	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	2	2	
8	8	მუსიკა	2	2	
9	9	ფიზიკური აღზრდა	3	3	
აუცილებელი საათების რაოდენობა კვირაში					
ქართულენოვანი სკოლებისათვის/ სექტორებისათვის			26	26	
არაქართულენოვანი სკოლებისათვის/ სექტორებისათვის			27-29	27-29	

”

მუხლი 2

1. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე, გარდა ამ ბრძანების პირველი მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა.
2. ამ ბრძანების პირველი მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ამოქმედდეს 2020-2021 სასწავლო წლის 15 სექტემბრიდან.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი **მიხეილ ჩხენკელი**